№2159 2015 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს უფლება, განახორციელოს კულინარიის ფესტივალის ჩატარებისათვის დაგეგმილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, არა უმეტეს 242 000 (ორას ორმოცდაორი ათასი) ლარით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**